



სსიპ შოთა რუსთაველის ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი

სტუდენტთა/პროფესიულ სტუდენტთა/მსმენელთა მხარდაჭერის სერვისები

2021

დამტკიცებულია--2021 წლის 20 იანვრის #10 დადგენილებით

სსიპ შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო
სასწავლო
უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭო

სტუდენტთა/პროფესიულ სტუდენტთა/მსმენელთა მხარდაჭერის სერვისები

მუხლი 1.ზოგადი დებულებები

სტუდენტთა/პროფესიულ სტუდენტთა/მსმენელთა მხარდაჭერის სერვისები წარმოადგენს სახელმძღვანელო დოკუმენტს, რომლის მეშვეობითაც ხორციელდება ცალკეული კატეგორიის სტუდენტებისათვის/პროფესიული სტუდენტებისათვის/ მსმენელებისთვის სასწავლო საგანმანათლებლო და საუნივერსიტეტო აქტივობებში ჩართვა და სხვადასხვა სერვისის შეთავაზება.

მუხლი 2

სტუდენტთა/პროფესიულ სტუდენტთა/მსმენელთა მხარდაჭერისა და საკონსულტაციო მომსახურებისათვის შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტში შექმნილია სტუდენტთა/პროფესიულ სტუდენტთა/მსმენელთა მომსახურების ცენტრი. ცენტრის საქმიანობის ძირითადი სფეროა სტუდენტებისთვის/პროფესიული სტუდენტებისთვის/მსმენელებისთვის ხელშემწყობი მექანიზმების შეთავაზება/მომსახურება. (იხ. სტუდენტთა/პროფესიულ სტუდენტთა/მსმენელთა მომსახურების ცენტრის დებულება)

მუხლი 3

სტუდენტთა/პროფესიულ სტუდენტთა/მსმენელთა მატერიალურ-ტექნიკური სერვისებით უზრუნველყოფა

სასწავლო უნივერსიტეტი სტუდენტებისთვის/პროფესიული სტუდენტებისთვის/ მსმენელებისთვის უზრუნველყოფს სხვადასხვა მატერიალურ-ტექნიკური სერვისებითან მისაწვდომობას:

- უსაფრთხო და დაცულ შენობებს;
- უსაფრთხო და დაცულ ეზო-გარემოს;
- „მწვანე“ გარემოს;
- რეკრეაციული ადგილების არსებობას;

- სტუდენტთა/პროფესიულ სტუდენტთა/მსმენელთა ჯგუფური მუშაობისთვის სივრცეების არსებობას;
- შენობის ნორმალური ტემპერატურით უზრუნველყოფას სეზონების მიხედვით;
- ნათელს ვრცელ „ჭკვიანი დაფებით“, პროექტორებით და ავეჯით აღჭურვილ აუდიტორიებს;
- კომფორტულ თანამედროვე ბიბლიოთეკასა და სამკითხველოს
- პირველად სამედიცინო მომსახურებას;
- მთელი საუნივერსიტეტო სივრცის სისუფთავის დაცვას;
- მოწესრიგებულ სველ წერტილებს წყლის უწყვეტი მიწოდებით;
- დაცულ ავტოსადგომს;
- საკუთარი ავტობუსებით სტუდენტთა უნივერსიტეტამდე უფასო ტრანსფერს;
- სტადიონს სპორტულ-გასართობი ღონისძიებებისათვის;
- ადაპტირებულ გარემოსა და საგანმანათლებლო რესურსებს სსსმ/შშმ პირთათვის;

მუხლი 4

ინკლუზიური განათლების ფარგლებში, სსსმ/შშმ სტუდენტთა/პროფესიულ სტუდენტთა/მსმენელთა მომსახურება

სასწავლო უნივერსიტეტი, ინკლუზიური განათლების ფარგლებში, სსსმ/შშმ სტუდენტებს/პროფესიულ სტუდენტებს/მსმენელებს (შემდეგში „საჭიროების მქონე პირი“) უზრუნველყოფს საჭიროების შესაბამისი ინდივიდუალური სასწავლო გეგმით, საგანმანათლებლო რესურსითა და ადაპტირებული გარემოთი.

ზსსუ უზრუნველყოფს შენობაში (შენობებში) შემდეგი ინფრასტრუქტურის არსებობას:

- უნივერსიტეტის შენობის (შენობების) შესასვლელში არსებობს შშმ ეტლით მოსარგებლე სტუდენტის/პროფესიული სტუდენტის/მსმენელის გადაადგილებისათვის განკუთვნილი სპეციალური ასასვლელი;
- უნივერსიტეტის აუდიტორიების შესასვლელი კარი მოწყობილია ისე, რომ პირმა დახმარების გარეშე შეძლოს ეტლით გადაადგილება;
- უნივერსიტეტის ზუგდიდის ბაზაზე შშმ პირებისთვის ფუნქციონირებს ლიფტი, რაც უზრუნველყოფს მათ ადაპტირებას სამივე სართულზე.
- უნივერსიტეტის შენობების პირველ სართულებზე არსებობს სპეციალური ადაპტირებული სველი წერტილები;
- სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირებისთვის შექმნილია ბიბლიოთეკით, კომპიუტერული და სხვა სახის ლაბორატორიებით სარგებლობის საშუალება;
- უნივერსიტეტის შენობაში (შენობებში) თვალსაჩინოდ გამოკრულია გადაადგილების აღმნიშვნელი ნიშნები (მაჩვენებლები), რომლის მიხედვითაც შშმ სტუდენტს შეეძლება დახმარების გარეშე დაადგინოს გადაადგილების მიმართულება.

- საჭიროების შემთხვევაში პირებს მიეწოდება ადაპტირებული საგანმანათლებლო რესურსები, მათ შორის უსინათლოსთვის ხელმისაწვდომია ბრაილის პრინტი, რომელიც სპეციალურად შიფრავს საგანმანათლებლო რესურსებს. ასევე - უნივერსიტეტის შენობაში ფუნქციონირებს აუდიტორია აღჭურვილი სპეციალური აპარატურით, რომელიც უზრუნველყოფს მკვეთრად გამოხატული სმენის პრობლემის მქონე პირებისთვის ბარიერის მოხსნას, კერძოდ კი- სპეციალური მიკროფონის გამოყენებით პირი შეძლებს როგორც პირისპირ ჩატარებული მევადინეობების დროს ლექტორის/მასწავლებლის მიერ ახსნილი მასალის გაგებას, ასევე აუდიო და ვიდეო რესურსებით სარგებლობას,

- საჭიროების მქონე პირები ინფორმირებულნი იქნებიან, რომ თუ მათთვის სპეციალურად მოწყობილი პანდუსებისა და შესაბამისი ინფრასტრუქტურული უზრუნველყოფის მიუხედავად, მაინც დასჭირდებათ დახმარება, დაუყოვნებლივ აცნობონ აღნიშნულის შესახებ დაცვის სამსახურის ნებისმიერ თანამშრომელს.

მუხლი 5

სტუდენტებთან/პროფესიულ სტუდენტებთან/მსმენელებთან ინდივიდუალური მუშაობა - ინდივიდუალური სასწავლო გეგმა

ინდივიდუალური სასწავლო გეგმით მოსარგებლე მიზნობრივი ჯგუფი შეიძლება იყოს :

- სხვადასხვა სახის სენსორული და ფიზიკური დეფიციტის მქონე პირები თუკი აღნიშნული გავლენას ახდენს სასწავლო პროცესზე (შშმ პირი);
- პირები, რომლებიც საჭიროებენ გრძელვადიან მკურნალობას ჰოსპიტალიზაციას;
- ეროვნულ უმცირესობათა წარმომადგენლები;
- სოციალურად დაუცველი პირები;
- დასაქმებული პირი;
- ჩვილბავშვიანი და/ან მრავალშვილიანი პირები;
- სპორტსმენები;
- განსხვავებული ოჯახური მდგომარეობის მქონე პირები;
- საერთაშორისო მობილობის პროგრამაში ჩართული პირები;
- მობილობით ჩარიცხული პირები;
- სტუდენტის/პროფესიული სტუდენტის სტატუსის აღდგენილი პირები;
- კანონმდებლობით გათვალისწინებული ერთიანი ეროვნული გამოცდების გარეშე სასწავლო პროცესის დაწყების შემდეგ ჩარიცხული პირები;
- სხვა პირები რომლებიც არ მიეკუთვნებიან ზემოთჩამოთვლ კატეგორიებს და რომელთა მიმართ ფაკულტეტი/პროფესიული განათლების განვითარების სამსახური გადაწყვეტს ინდივიდუალური გეგმით მუშაობის აუცილებლობას.
- ინდივიდუალური სასწავლო გეგმით სარგებლობა ხორციელდება ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების მეთოდოლოგიით, ხოლო პროფესიული სტუდენტების შემთხვევაში გაწერილია სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესში.

მუხლი 6

უწყვეტი განათლების ცენტრის სერვისები

უწყვეტი განათლების ცენტრი სტუდენტებს/პროფესიულ სტუდენტებს/მსმენელებს სერვისებს პროფესიული და პიროვნული განვითარებისათვის, კვალიფიკაციის ამაღლებისათვის, ახალი პროფესიული უნარების შეძენისათვის (იხ. უწყვეტი განათლების ცენტრის დებულება)

მუხლი 7

კარიერის განვითარების ცენტრი

კარიერის განვითარების ცენტრი სტუდენტებს/პროფესიულ სტუდენტებს/მსმენელებს აწვდის კარიერული სერვისებს, რომელიც დაეხმარება სტუდენტებსა და კურსდამთავრებულებს განივითარონ დასაქმებისთვის საჭირო უნარები და გაიმდიდრონ გამოცდილება, რაც ხელს შეუწყობს მათ თვითრეალიზაციას კარიერული წინსვლის პროცესში. კარიერის განვითარების ცენტრის სერვისები ხორციელდება კარიერის განვითარების ცენტრის დებულებით.

მუხლი 8

უცხო ენათა შემსწავლელი ცენტრი

უცხო ენათა შემსწავლელი ცენტრი დაინტერესებულ პირებს შესაძლებლობას აძლევს, შეისწავლონ უცხოური ენები სწავლების მრავალწლიანი გამოცდილების მქონე მაღალკვალიფიციურ მასწავლებლებთან ერთად. უცხო ენათა შემსწავლელი ცენტრის სერვისები ხორციელდება უცხო ენათა შემსწავლელი ცენტრის დებულებით.

მუხლი 9

სამართლის კლინიკა

სამართლის კლინიკა სამართლის საკითხებზე დაინტერესებული პირებისთვის ახორციელებს უფასო კონსულტაციების ორგანიზებას. ადამიანის უფლებათა დარღვევის გამოვლენილ კონკრეტულ ფაქტებზე სახალხო დამცველის აპარატში შუამდგომლობის შეტანას "სახალხო დამცველის შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის შესაბამისად. სამართლის კლინიკის საქმიანობა ხორციელდება სამართლის კლინიკის დებულებით.

მუხლი 10

ბავშვის უფლებების ცენტრი

ბავშვის უფლებების ცენტრის მიზანია, ბავშვთა უფლებების რეალიზების ხელშეწყობა და დაცვა და აგრეთვე ბავშვთა უფლებებისა და ინკლუზიური განათლების მიმართულებით ცოდნის შექმნისა და გავრცელების აქტივობებში მონაწილეობა.

ბავშვის უფლებების ცენტრის სერვისები ხორციელდება ბავშვის უფლებების ცენტრის დებულებით.

მუხლი 11

დებულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა.

დებულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა ხორციელდება წარმომადგენლობითი საბჭოს დადგენილებით